

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2019 წელი, 11 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.ორაგველიძე, ხ.ცერცვაძე, ლ.კილაძე, ჯ.თავართქილაძე, ბ.თოიძე, თ.ტულუში, ვლ.ჩავლეშვილი, ვლ.ღლონტი, ლ.მგელაძე, ლ.კილაძე, დ.ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს:გ.კილაძე

თანამომხს: მ.გორგოშიძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს:გ.კილაძე

3.,„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს:გ.კილაძე

4.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით

გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხს:გ.კილაძე

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

განიხილეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას, მხარდაჭერილი იქნა ასევე დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სერიოზული მსჯელობა გაიმართა სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვისას, საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს კომისიის წევრებმა ლ.მგელაძემ, ვლ.ჩავლეშვილმა, ლ.კილაძემ და სხებმა. აღინიშნა, რომ ყველა შენიშვნაში არ ეთანხმებიან აუდიტის დასკვნას, მათ შორის ყველა ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისებას, ასევე მოსაზრებას, რომ ქონების გასხვისება ხდებოდა კონკრეტული პიროვნებების ინტერესების გათვალისწინებით, კომისია საკუთარ მოსაზრებას წერილობითი სახით მიაწვდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ამასთან დაელოდება შესაბამისი ორგანოების გამოძიების საბოლოო შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში დამატებით იმსჯელებს მასზე.

გადაწვტიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა (თან ერთვის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

2.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად, კომისიის მოსაზრებების თაობაზე ოფიციალურად ეცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ამასთან, შესაბამისი ორგანოების გამოძიების საბოლოო შედეგების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, კომისია კვლავ დაუბრუნდეს მასზე მსჯელობას.

გოჩა კილაძე

კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

